

# გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება № 01-01/45

თბილისი

“ 08 “ ივლისი 2014 წ.

*აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:*

*„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსის ჩატარების წესის 1 მუხლის საფუძველზე*

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2014 წლის 11 ივლისს გამოცხადდეს ღია კონკურსი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პროფესორის 6 (ექვსი) წლის ვადით დასაკავებლად, კონკურსის შედეგების დამტკიცების დღიდან.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2014 წლის 12 აგვისტოდან 2014 წლის 25 აგვისტომდე, ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 24 სექტემბერს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში 3 დღის ვადაში. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2014 წლის 30 სექტემბერს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 1 აკადემიური პერსონალი - 1 პროფესორი;

### **სამართლის ფაკულტეტი**

#### **საჯარო სამართლის კათედრა:**

1 პროფესორი

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- მიმართულების განვითარების პროგრამა და დისციპლინის სწავლების კონცეფცია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით (3-4 გვერდზე acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები);
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია:

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
    - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
    - ავტობიოგრაფია (CV)
    - საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
    - ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
    - ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან
  5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი
  6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.
  7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სახმსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს..

რექტორი

გიორგი მათიაშვილი